ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

გ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 1006

22/08/2016

ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) პრივატიზების შესახებ განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის №38 179 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები"-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) პრივატიზების შესახებ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი.

1.2. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 150000 (ასორმოცდაათიათასი) ლარი.

1.3. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) ზიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ის ოდენობით.

1.4. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი